

ატესტაცია

ატესტაციასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

- მოხელის ატესტაცია არის მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობისა და პირადული თვისების დაკავებული (ან დასაკავებელი) თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. ატესტაციის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით¹
- ტესტაციის ჩატარების დროს განსაზღვრავს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ხელმძღვანელი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.²
- მოხელე რომელიც მუნიციპალიტეტში დანიშნულია შტატით გათვალისწინებული მოხელის თანამდებობაზე 2012 წლის 29 ივნისამდე, ითვლება თანამდებობაზე უვადოდ დანიშნულად და ექვემდებარება ატესტაციას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
- 2015 წლის 1 ივლისამდე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის სავალდებულო ეტაპია მოხელის ტესტირება.³
- ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე, რომელსაც ატესტაცია არ გაუვლია, ატესტირებას ექვემდებარება 2015 წლის 1 ივლისამდე, თუ მისი თანამდებობაზე დანიშნვიდან გასულია 6 თვე. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დანიშნვიდან 6 თვეზე ნაკლებია გასული, მოხელე, გარდა თანამდებობაზე ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით დანიშნული მოხელისა, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით ატესტირებას ექვემდებარება თანამდებობაზე დანიშნვიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 1 ივლისისა. მოხელეს ატესტაციის შესახებ უნდა ეცნობოს ატესტაციის ჩატარებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა.⁴

¹ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, 81-ე მუხლი

² საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, 83-ე მუხლი

³ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, 134⁴-ე მუხლი

⁴ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, 134⁴-ე მუხლი

ატესტაციის მომზადება

- ატესტაციას ატარებს შესაბამისი დაწესებულების საკონკურსო-საატესტაციო კომისია, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. კომისიის თავმჯდომარედ, როგორც წესი, ინიშნება იმავე დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე.⁵
- ატესტაციის ჩატარებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას უზრუნველყოფს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.⁶
- მოხელეს ატესტაციის შესახებ უნდა ეცნობოს ატესტაციის ჩატარებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა
- ატესტაციის პროცესის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის უშუალო ხელმძღვანელი ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში წარადგენს ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის დახასიათებას წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით. წინასწარ განსაზღვრულ ფორმას ავსებს და წარადგენს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელეც.⁷
- კომისიის შემადგენლობის კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურო უფლებამოსილია, მოითხოვოს ინფორმაცია კომისიაში მოხელეთა პროფესიული კავშირების წევრის და დამოუკიდებელი სპეციალისტის მონაწილეობის თაობაზე.⁸

⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 411 დადგენილება „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლი;

⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 411 დადგენილება „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლი;

⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 411 დადგენილება „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლი;

⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 411 დადგენილება „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლი;

ატესტაციის ჩატარების პროცედურა

- ატესტაცია შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ფორმით: სხვადასხვა სახის ტესტირება, წერიტი დავალება ან/და გასაუბრება.⁹
- ატესტაციის (გარდა ტესტირების ეტაპისა) ჩატარების ფორმებს, შესაბამისი შეფასების ფორმულარებს, სატესტო მეთოდოლოგიებსა და თემატიკას, მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს კომისია, დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით.¹⁰
- ტესტირებების ჩატარების მეთოდოლოგიასა და თემატიკას, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმებს, საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების თანახმად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშავენ და არაუგვიანეს 2014 წლის 15 სექტემბრისა ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო სამსახურის ბიურო.
- ტესტირების ეტაპის მინიმალურ გამსვლელ ზღვარს ადგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისია გამგებელთან/მერთან შეთანხმებით, სწორი პასუხების მინიმუმ 50%, მაქსიმუმ 75% - ის ფაგლებში.¹¹

ატესტაციას დაგვემდებარებული პირის შეფასება

- კომისია აფასებს მოხელეს, საჭიროების შემთხვევაში, ისმენს მოხელის და მისი უშუალო ხელმძღვანელის განმარტებებს,¹²
- ატესტაციის შედეგების მიხედვით, კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა: მოხელე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და ექვემდებარება დაწინაურებას, ატესტაციას დაქვემდებარებული პირი შეესაბამება დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას, მოხელე ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 411 დადგენილება „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლი;

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 411 დადგენილება „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლი;

¹¹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 411 დადგენილება „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი;

¹² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 411 დადგენილება „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-9 მუხლი;

(საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას), ატესტაციას დაქვემდებარებული პირი არ შეესაბამება დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას.¹³

- კომისია ვალდებულია, თითოეული ატესტაციას დაქვემდებარებული პირის ატესტაციის შედეგების შესახებ მოამზადოს დასკვნა. დასკვნა ფორმდება სხდომის ოქმით და მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.¹⁴
- ატესტაციას დაქვემდებარებული პირი საატესტაციო ფურცელს ეცნობა და ხელს აწერს მისი შევსებიდან 2 სამუშაო დღეში.
- კომისია დაწესებულების ხელმძღვანელს მოახსენებს ატესტაციის შედეგებს, ატესტაციის პროცესის დასრულებიდან ერთ კვირაში.
- დაწესებულების ხელმძღვანელი, კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე, ატესტაციის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებას, მოხელის პირად საქმეში ასახვით, მოხელისათვის სპეციალური წოდების ან/და საკლასო ჩინის მინიჭების, მოხელის დაწინაურების, მოხელის კვალიფიკაციის ამაღლების, მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ან მოხელის მიმართ ატესტაციის შედეგის პირად საქმეში ასახვის შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ მოხელე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას).
- კომისია, ატესტაციის დასრულებიდან (გადაწყვეტილების მიღებიდან) ერთ კვირაში, ბიუროში წარადგენს ინფორმაციას ჩატარებული ატესტაციის და მისი შედეგების შესახებ.

ატესტაციის შედეგების გასაჩივრება

- ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, ატესტაციის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით, შესაძლებელია შეიქმნას საპრეტენზიო კომისია.¹⁵
- პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს, მხოლოდ, წერილობითი ფორმით ატესტაციის შედეგების (მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება) გამოცხადებიდან (გადაწყვეტილების ჩაბარებიდან - წერილობით გაგზავნის შემთხვევაში და გაგზავნიდან - გადაწყვეტილების ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში) არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არა უმეტეს 3 სამუშაო დღეში.

¹³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 411 დადგენილება „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-9 მუხლი;

¹⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 411 დადგენილება „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-10 მუხლი;

¹⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 411 დადგენილება „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-11 მუხლი;

მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, შედგება ოქმი და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება კომისიას.¹⁶

- ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს, ატესტაციის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში (მისი არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ - სასამართლოში, ან არ გამოიყენოს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება და ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი წარადგინოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოში.¹⁷

¹⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 411 დადგენილება „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-11 მუხლი;

¹⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 411 დადგენილება „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-12 მუხლი;

სარეკომენდაციო ვადები

N	ამოცანა	საქმიანობა	ვადა	უწყება
1.	ატესტაციის ჩატარების სამართლებრივი ბაზის მომზადება			
1.1		მთავრობის შესაბამის დადგენილებაში ცვლილებების მომზადება/დამტკიცება	ბოლო ვადა 15 სექტემბერი	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საქართველოს მთავრობა
		ტესტირებების ჩატარების მეთოდის, თემატიკის, და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცება.	კანონმდებლობით გათვალისწინებული ბოლო ვადა 15 სექტემბერი	საჯარო სამსახურის ბიურო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებით
1.2.		საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცება ან ცვლილებების შეტანა.	უმჯობესია დასრულდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში არა უგვიანეს 15 სექტემბრისა	მუნიციპალიტეტი
1.3.		მოხელის დახასიათების და ანგარიშების ფორმების დამტკიცება	უმჯობესია დასრულდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში არა უგვიანეს 20 სექტემბრისა	მუნიციპალიტეტი
1.4		ატესტაციის ჩატარების ფორმების, შესაბამისი შეფასების ფორმულარების, საატესტო მეთოდის და თემატიკის დამტკიცება(გარდა ტესტირების ეტაპისა)	უმჯობესია დასრულდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში არა უგვიანეს 20 სექტემბრისა	მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისია
2.	ატესტაციის მომზადება			
2.1.		პროვაიდერის განსაზღვრა	5 სექტემბერი	საქართველოს მთავრობა
2.2.		საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნა (სადაც არ არის შექმნილი) ან ახალი შემადგენლობის	უმჯობესია დასრულდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ	მუნიციპალიტეტი

		დამტკიცება	ვადებში არა უგვიანეს 15 სექტემბრისა	
2.3.		მოხელეებისთვის შეტყობინებების დაგზავნა ატესტაციის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით	ატესტაციის ჩატარებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა	მუნიციპალიტეტი
2.4.		პროვაიდერისგან მომსახურების შესყიდვა	რეკომენდირებულია სექტემბრის ბოლომდე	მუნიციპალიტეტი
2.5.		ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის დახასიათების წარდგენა, სპეციალური ფორმების საშუალებით	ატესტაციის პროცესის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე	მოხელის უშუალო ხელმძღვანელი/მუნიციპალიტეტი მოხელე
3.	ატესტაციის ჩატარება			
3.1.		ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა ტესტირება და გასაჩივრებული შედეგების განხილვის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტებისთვის საბოლოო შედეგების გადაგზავნა	ტესტირების განმახორციელებელი დაწესებულების და მუნიციპალიტეტის შეთანხმებით მაგრამ არა უგვიანეს 31 ოქტომბრისა	პროვაიდერი
3.2.		გასაუბრების ეტაპი	ტესტირების დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში	მუნიციპალიტეტი
3.3.		ატესტაციის შედეგების განსაზღვრა და დაწესებულების ხელმძღვანელისთვის გადაგზავნა	გასაუბრების ეტაპის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში	საკონკურსო - საატესტაციო კომისია
		ატესტაციას დაქვემდებარებული პირისთვის საატესტაციო ფურცლის გაცნობა	ატესტაციის შედეგების განსაზღვრიდან 3 დღის ვადაში	მუნიციპალიტეტი
3.4.		ატესტაციის შედეგების გასაჩივრება/განხილვა	საატესტაციო ფურცლის გაცნობიდან 2 დღის ვადაში	საპრეტენზიო კომისია
4.	მოხელეთა			

	დანიშვნა/გათავისუფლება/ დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება			
4.1.		შესაბამისი ბრძანებების მომზადება	ატესტაციის შედეგების გასაჩივრების პროცესის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში	მუნიციპალიტეტი